საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 21 0000501831

31/05/2021

შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის "პოლიტიკური პიარტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“,

1.3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში:
ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას;
ბ) ის სტუდენტი, რომელიც სწავლობდა სახელმწიფო დაფინანსებით, უფლებამოსილია გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წყვეტს რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება
2.1. 2020 წლის 30 ოქტომბერს შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) №869 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №1052845) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი „პოლიტიკური პიარტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 ნოემბრის №1088498 ბრძანების საფუძველზე, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 18 იანვრის №11224 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 26 იანვარს განახორციელა სააკრედიტაციო შეფასება, ხოლო 2021 წლის 12 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები,		√		

მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია,
2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 14 მაისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ: პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭომ 1.1 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია და 1.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.2 კომპონენტის შეფასება დარჩა უცვლელი, 2.2. კომპონენტი „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, 2.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.6 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.2 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. მეხუთე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ 5.1; 5.2, და 5.3 კომპონენტებში დაამატა რეკომენდაციები.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011

წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ კენჭისყრის შედეგად, თექვსმეტი ხმით არცერთი ხმის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1.უარი ეთქვას შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ „პოლიტიკური პიარტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „პოლიტიკური პიარტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 31 მაისის №501200 სხდომის ოქმის №- 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

4.1. პროგრამის სწავლის მიზნები და შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;

4.2. აუცილებელია, სასწვალო გეგმაში დაემატოს სამაგისტრო ნაშრომი შესაბამისი კრედიტების მოცულობით;

4.3. აუცილებელია რიგ სილაბუსებში ფინალური დავალება სამაგისტრო დონის ადექვატური გახდეს.

4.4. რეკომენდებულია, სამაგისტრო პროექტი სტუდენტის ინდივიდულური ნაშრომი იყოს, რათა გაადვილდეს შეფასების პროცესი;

4.5. რეკომენდირებულია, მაგისტრატურის არსებულ დებულებაში დეტალურად გაიწეროს კომისიის დაკომპლექტების წესი, ვადები და სხვა.

4.6. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის პროფესიული და კვლევითი უნარების განვითარების მკაფიო მექანიზმის შემუშავება და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება ამ მექანიზმების შესახებ;

4.7. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოახდინოს პროგრამის საკანონმდებლო მოტხოვნებთან შესაბამისობის შეფასება;

4.8. პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის მიზნით, მოძიებულ იქნეს უცხოური პროგრამა/პროგრამები;

4.9. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებამდე ჩატარებულ იქნეს მონიტორინგი და სამუშაოები, პროგრამის შინაარსის, მიზნებისა და შედეგების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარცოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

რჩევები:

4.10. სასურველია, გადაიხედოს შეფასების მეთოდები და სადაც საგნის სპეციფიკა იძლევა საშუალებას, ჩანაცვლდეს წერითი გამოცდით, რათა შეფასების მეთოდები უფრო გამჭვირვალე გახდეს.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ